

585
1988 / 2

ISSN 0203-2023
საქართველოს
საბჭოთავო
კავშირები



პროლეტარებო
უფლა
კვეყნისა,
უფერტლით!

საქართველოს
საბჭოთა
სოციალისტური
რესპუბლიკის

№ 12

1 9 8 8

უმაღლესი საბჭოს
უწყებები

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოსევა

18.921

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს უწყებები



№ 12 (581) **დეკემბერი** 1988 წელი

შ ი ნ ა ა რ ს ი

ბანყოფილება პირმული

- 340. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ა. ნ. ინაურის საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ.
- 341. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. გ. გ. გუმბარძის საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ.
- 342. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ბ. დ. მახარაშვილის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ.
- 343. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ტ. ვ. ლორთქიფანიძის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ დანიშვნის შესახებ.
- 344. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ სახელმწიფო სამშენებლო კომიტეტის შექმნის შესახებ.
- 345. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ამხ. ზ. ა. ლაბაზუას საქართველოს სსრ სახელმწიფო სამშენებლო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ.
- 346. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა სისტემაში ზოგიერთი ცვლილების შეტანის შესახებ.

საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. საბ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

- 347. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება საქართველოს სსრ სახელმწიფო ჯილდოებით დაჯილდოების არსებული წესის სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ.
- 348. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის შემადგენლობაში ცვლილებების შესახებ.
- 349. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ს. ტ. რიგვას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შემადგენლობიდან გამოყვანის შესახებ.
- 350. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ზ. პ. მახარაძის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შემადგენლობაში შეყვანის შესახებ.

ბანკოფილება მიორი

- 351. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება სიმღერისა და ცეკვის სახალხო ანსამბლ „ლილეს“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
- 352. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება სიმღერისა და ცეკვის სახალხო ანსამბლ „ლილეს“ სოლისტებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ.
- 353. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. რ. გ. მოღებაძის მედლით „საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად წარჩინებული სამსახურისათვის“ დაჯილდოების შესახებ.
- 354. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ვოკალურ ანსამბლ „ცისფერი ტრიოს“ სოლისტებისათვის „საქართველოს სსრ სახალხო არტისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
- 355. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ნ. გ. ანანიაშვილისათვის „საქართველოს სსრ სახალხო არტისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
- 356. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. თ. გ. გოცაძისათვის „საქართველოს სსრ სახალხო მხატვრის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
- 357. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. გ. კ. გუნიაკუზნეცოვისათვის „საქართველოს სსრ სახალხო მხატვრის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
- 358. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ჯანმრთელობის დაცვის მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ.
- 359. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
- 360. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ.
- 361. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვრის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
- 362. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

- 378. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ლ. გ. მუხაძისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
- 379. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. კ. ი. სეფიაშვილისათვის „საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
- 380. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ი. ა. სონაძისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
- 381. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ი. ნ. ციციშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

ბანუიფილიზა მისამი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.
 ცვლილებები ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში.
 ანბანურ-საგნობრივი საძიებელი.

ბანუოფილება პირველი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

340 ამხ. ა. ნ. ინაუშის საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების
კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობიდან განთავისუფლე-
ბის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

განთავისუფლდეს ამხ. ალექსი ნიკოლოზის ძე ინაუში საქართველოს სსრ
სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობიდან გა-
დადგომასთან დაკავშირებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 2 დეკემბერი.

№ 2001—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

341 ამხ. გ. გ. გუმბარიძის საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშ-
როების კომიტეტის თავმჯდომარად დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დაინიშნოს ამხ. გივი გრიგოლის ძე გუმბარიძე საქართველოს სსრ სა-
ხელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარედ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 2 დეკემბერი.

№ 2002—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

ამხ. ბ. დ. მახარაშვილის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
342 თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობიდან განთავისუფ-
 ლების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

განთავისუფლდეს ამხ. ბეგლარ დიმიტრის ძე **მახარაშვილი** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობიდან სხვა სა-
 მუშაოზე გადაყვანასთან დაკავშირებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 7 დეკემბერი.

№ 2004—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

ამხ. ტ. ვ. ლორთქიფანიძის საქართველოს სსრ მინისტრთა საბ-
343 ჯოს თავმჯდომარის მოადგილედ დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დანიშნოს ამხ. ტარიელ ვლადიმერის ძე **ლორთქიფანიძე** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 7 დეკემბერი.

№ 2005—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

საქართველოს სსრ სახელმწიფო სამშენებლო კომიტეტის შემ-
344 ნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

შეიქმნას საქართველოს სსრ საკავშირო-რესპუბლიკური სახელმწიფო სამშენებლო კომიტეტი და გაუქმდეს საქართველოს სსრ მშენებლობის საქმე-
 თა სახელმწიფო კომიტეტი, საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრო, საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრო და საქართვე-

ლოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული კაპიტალური მშენებლობის მთავარი სამმართველო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 9 დეკემბერი.

№ 2009—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

345 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ამხ. ზ. ა. ლაბახუას საქართველოს სსრ სახელმწიფო სამშენებლო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დანიშნოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ზურაბ აკაკის ძე ლაბახუა საქართველოს სსრ სახელმწიფო სამშენებლო კომიტეტის თავმჯდომარედ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 13 დეკემბერი.

№ 2012—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

346 საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა სისტემაში ზოგიერთი ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. დაწესდეს საქართველოს სსრ შემდეგი საპატიო წოდებები:

„საქართველოს სსრ დამსახურებული გამომგონებელი და რაციონალიზატორი“, „საქართველოს სსრ სახალხო განათლების დამსახურებული მუშაკი“, „საქართველოს სსრ მომსახურების სფეროს დამსახურებული მუშაკი“.

2. გაუქმდეს საქართველოს სსრ შემდეგი საპატიო წოდებები:

„საქართველოს სსრ კვების მრეწველობის დამსახურებული მუშაკი“, „საქართველოს სსრ დამსახურებული ენერგეტიკოსი“, „საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის დამსახურებული მუშაკი“, „საქართველოს სსრ დამსახუ-

რებული მეფეზე“, „საქართველოს სსრ მეცხოველეობის დამსახურებული მუშაკი“, „საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის დამსახურებული მექანიზატორი“, „საქართველოს სსრ დამსახურებული აგრონომი“, „საქართველოს სსრ დამსახურებული ვეტერინარი ექიმი“, „საქართველოს სსრ დამსახურებული ზოოტექნიკოსი“, „საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის დამსახურებული ინჟინერი“, „საქართველოს სსრ დამსახურებული მეტყევე“, „საქართველოს სსრ დამსახურებული მელიორატორი“, „საქართველოს სსრ დამსახურებული გეოლოგი“, „საქართველოს სსრ დამსახურებული გამომგონებელი“, „საქართველოს სსრ დამსახურებული რაციონალიზატორი“, „საქართველოს სსრ დამსახურებული კონსტრუქტორი“, „საქართველოს სსრ დამსახურებული ტექნოლოგი“, „საქართველოს სსრ დამსახურებული პროვიზორი“, „საქართველოს სსრ უმაღლესი სკოლის დამსახურებული მუშაკი“, „საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების დამსახურებული მუშაკი“, „საქართველოს სსრ სახალხო პოეტი“, „საქართველოს სსრ სახალხო არქიტექტორი“, „საქართველოს სსრ დამსახურებული ბიბლიოთეკარი“, „საქართველოს სსრ დამსახურებული ანსამბლი“, „საქართველოს სსრ დამსახურებული კოლექტივი“, „საქართველოს სსრ დამსახურებული ორკესტრი“, „საქართველოს სსრ ვაქრობის დამსახურებული მუშაკი“, „საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო და კომუნალური მომსახურების დამსახურებული მუშაკი“, „საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი“, „საქართველოს სსრ ახალგაზრდობის დამსახურებული დამრიგებელი“, „საქართველოს სსრ დამსახურებული პროპაგანდისტი“, „საქართველოს სსრ დამსახურებული ბუღალტერი“, „საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებელი“, „საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმი“.

პირები, რომლებსაც მინიჭებული აქვთ ამ მუხლში ჩამოთვლილი საპატიო წოდებები, ინარჩუნებენ მათ და მინიჭებულ უფლებებს.

3. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1982 წლის 9 სექტემბრის ბრძანებულებით დამტკიცებული საქართველოს სსრ სახელმწიფო ჯილდოების შესახებ დებულების მე-6 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 6. დაწესებულია საქართველოს სსრ შემდეგი საპატიო წოდებები:

„საქართველოს სსრ სახალხო მასწავლებელი“,

„საქართველოს სსრ სახალხო არტისტი“,

„საქართველოს სსრ სახალხო მნატვარი“,

„საქართველოს სსრ მრეწველობის დამსახურებული მუშაკი“,


„საქართველოს სსრ მშენებლობის დამსახურებული მუშაკი“,

„საქართველოს სსრ ტრანსპორტის დამსახურებული მუშაკი“,

„საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის დამსახურებული მუშაკი“,

„საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის დამსახურებული მუშაკი“,

„საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე“,



„საქართველოს სსრ დამსახურებული გამომგონებელი და რაციონალიზატორი“,

„საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის დამსახურებული მუშაკი“,

„საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მუშაკი“,

„საქართველოს სსრ სახალხო განათლების დამსახურებული მუშაკი“,

„საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე“,

„საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი“,

„საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვარი“,

„საქართველოს სსრ დამსახურებული არქიტექტორი“,

„საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი“,

„საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტი“,

„საქართველოს სსრ მომსახურების სფეროს დამსახურებული მუშაკი“,

„საქართველოს სსრ დამსახურებული ჟურნალისტი“,

„საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტი“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. პილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 23 დეკემბერი.

№ 2032—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება

347 საქართველოს სსრ სახელმწიფო ჯილდოებით დაჯილდოების არსებული წინის სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ

საბჭოთა საქართველოს მშრომლები, მთელი საზოგადოებრიობა მოწონებით შეხვდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას „სსრ კავშირის სახელმწიფო ჯილდოებით დაჯილდოების წესის სრულყოფის შესახებ“, აგრეთვე იმ პრაქტიკულ ღონისძიებებს, რომლებიც ამ მიმართულებით არის დასახული სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ანალოგიურ დადგენილებაში.

აღნიშნული დოკუმენტების მოთხოვნათა შესაბამისად სერიოზულ გადარჩევასა და სრულყოფას საჭიროებს საქართველოს სსრ სახელმწიფო ჯილდოებით დაჯილდოების პრაქტიკა, მითუმეტეს, რომ ამჟამად მოქმედი დებულება ძირითადად უძრაობის წლებში შეიქმნა და, ბუნებრივია, ვეღარ უბასუხებს რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში მიმდინარე ძირეულ გარდაქმნას, დემოკრატიზაციისა და საჯაროობის პრინციპებს.

უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში საქართველოს სსრ სახელმწიფო ჯილდოებით დაჯილდოვდა 30 ათასზე მეტი მშრომელი. მოსახლეობის რაოდენობის

დენობასთან შეფარდებით დაჯილდოებულთა ამ მაჩვენებლით საქართველომ მნიშვნელოვნად გაუსწრო ბევრ მოკავშირე რესპუბლიკას. დაჯილდოებათა ასეთი მასობრივი ხასიათის გამო დაკნინდა სახელმწიფო ჯილდოების ავტორიტეტი, ფორმალური სახე მიიღო საქართველოს სსრ საპატიო წოდების მინიჭებისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების პროცესმა.

დაჯილდოების პრაქტიკის არსებითი გადრაქმნის აუცილებლობაზე მიუთითებს ისიც, რომ საპატიო სიგელით დასაჯილდოებლად თუ საპატიო წოდების მისანიჭებლად კანდიდატურების წარდგენა წარმოებდა ფორმალურად, აქტიური საჯარო განხილვისა და კოლექტიური აზრის გაუთვალისწინებლად. საზოგადოებრიობისათვის, თვით შრომითი კოლექტივისთვისაც კი დაჯილდოებულთა ვინაობა ცნობილი ხდებოდა მხოლოდ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების გამოქვეყნების შემდეგ.

განსაკუთრებით მანკიერი ხასიათი მიიღო დაბადების დღესთან თუ იუბილესთან დაკავშირებით დაჯილდოების პრაქტიკამ; ფაქტობრივად ავტომატურად ჯილდოვდებოდა ყველა რანგის ხელმძღვანელი.

საპატიო სიგელით დაჯილდოებისა და საპატიო წოდების მინიჭების პრაქტიკაში სერიოზული კორექტივების შეტანის გარდა, არსებითად უნდა შემცირდეს რესპუბლიკის საპატიო წოდებათა რაოდენობა. ზოგიერთი წოდება დაწესდა უწყებათა ზემოქმედებით, სუბიექტური მოსაზრებით და ვიწრო პროფესიული ხასიათისა იყო. საქართველოში დაწესებულა 53 საპატიო წოდება, გაცილებით მეტი, ვიდრე სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში.

სახელმწიფო ჯილდოების შესახებ დებულება საჭიროებს გადახედვას, რათა სრულად შეესაბამებოდეს რესპუბლიკაში ამჟამად მიმდინარე პროცესებს, ზოგადი მოთხოვნები და შეფასებები უნდა შეიცვალოს კონკრეტულით, მშრომელთა წახალისება სახელმწიფო ჯილდოებით უნდა ხდებოდეს სოციალური სამართლიანობის პრინციპების, საჯაროობის საფუძველზე, შრომითი კოლექტივების აქტიური მონაწილეობით, ნამდვილი დემოკრატიზმის ვითარებაში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომმა, რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებმა, სამინისტროებმა, სახელმწიფო კომიტეტებმა და უწყებებმა:

უზრუნველყონ სახელმწიფო ჯილდოებით დაჯილდოების წესის სრულყოფის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ მიღებული დადგენილებების მოთხოვნათა განხორციელება;

განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ, რომ წარმოების, მეცნიერების, სახალხო განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურის და საქმიანობის სხვა სფეროების ცალკეული მუშაკების, მშრომელთა ჯგუფების სსრ კავშირით

სა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ჯილდოებზე წარდგენა ხდებოდა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და კულტურული მშენებლობის ამოცანათა გადაწყვეტაში კონკრეტული საუკეთესო მიღწევებისათვის დასაჯილდოებელთა პირადი დამსახურების შესაბამისად;

მიაღწიონ, რომ დასაჯილდოებლად წარსადგენ ყოველ კანდიდატურას განიხილავდეს შრომითი კოლექტივის კრება ან საბჭო, რის შესახებაც შესაბამისი ჩანაწერი გაკეთდება დაჯილდოების ფურცელში. საპატიო წოდებებზე — „საქართველოს სსრ სახალხო მასწავლებელი“, „საქართველოს სსრ სახალხო არტიტი“, „საქართველოს სსრ სახალხო მხატვარი“, „საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე“ და „საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე“ — წარდგენის დროს კანდიდატურების განხილვა მოეწყოს ფართოდ, საჯაროდ, რესპუბლიკის პრესის მეშვეობით. კანდიდატურების განხილვა აწარმოონ პრინციპულობისა და გულახდილობის ატმოსფეროში. ამასთან, როგორც წესი, ყოველი კანდიდატურის საჯარო განხილვამდე წინასწარ მიაწოდონ ინფორმაცია შრომითს კოლექტივს.

2. საქართველოს სსრ სახელმწიფო ჯილდოებით დაჯილდოების არსებული წესის სრულყოფის, სახელმწიფო ჯილდოების პრესტიჟის ამაღლების, მშრომელთა მორალური სტიმულირების საქმეში სოციალური სამართლიანობის პრინციპების განუხრებლად დაცვისა და დაჯილდოების მთელი პროცესის საჯაროობის, ნამდვილი დემოკრატიზმის ვითარების უზრუნველსაყოფად დაწესდეს, რომ:

თითოეულ შრომითს კოლექტივს უფლება აქვს დამოუკიდებლად აღძრას შესაბამისი შუამდგომლობა საქართველოს სსრ სახელმწიფო ჯილდოებით დაჯილდოების შესახებ; საქართველოს სსრ სახელმწიფო ჯილდოებზე წარდგენა შეიძლება აგრეთვე პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანოების, სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების ორგანოების, სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტების, უწყებების ინიციატივით;

შემდგომში საქართველოს სსრ სახელმწიფო ჯილდოებით აღარ დაჯილდოვდებიან ავტონომიური რესპუბლიკები, ავტონომიური ოლქი, ქალაქები, რაიონები და სხვა დასახლებული პუნქტები, აგრეთვე შრომითი კოლექტივები;

ასევე საქართველოს სსრ სახელმწიფო ჯილდოებით აღარ დაჯილდოვდებიან მოქალაქენი მათს იუბილესთან დაკავშირებით შრომითი საქმიანობის პერიოდში;

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოება ან საქართველოს სსრ საპატიო წოდების მინიჭება შეიძლება არა უადრეს ხუთი წლისა საქართველოს სსრ სახელმწიფო ჯილდოთი დაჯილდოების შემდეგ;

არ შეიძლება ერთი და იგივე პიროვნებისათვის ორი სხვადასხვა საპატიო წოდების მინიჭება, გარდა ხარისხის მქონე წოდებებისა;

შემდგომში პროფესიულ ღღებთან და იუბილესთან დაკავშირებით აღარ იწარმოებს საქართველოს სსრ სახელმწიფო ჯილდოებით მასობრივი დაჯილდოება;

დაჯილდოების შესახებ შუამდგომლობის უარყოფის შემთხვევაში ასეთი გადაწყვეტილების მიზეზს შრომითს კოლექტივს განუმარტავს შესაბამისი ორგანო.

3. შრომითი საქმიანობის ძირითადი სფეროების წამყვან პროფესიათა მუშაკების პროფესიულ საქმიანობაში თვალსაჩინო მიღწევებისა და მაღალი ოსტატობის წასახალისებლად მიზანშეწონილია არსებობდეს საქართველოს სსრ შემდეგი საპატიო წოდებები:

- „საქართველოს სსრ სახალხო მასწავლებელი“,
- „საქართველოს სსრ სახალხო არტიტი“,
- „საქართველოს სსრ სახალხო მხატვარი“,
- „საქართველოს სსრ მრეწველობის დამსახურებული მუშაკი“,
- „საქართველოს სსრ მშენებლობის დამსახურებული მუშაკი“,
- „საქართველოს სსრ ტრანსპორტის დამსახურებული მუშაკი“,
- „საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის დამსახურებული მუშაკი“,
- „საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის დამსახურებული მუშაკი“,
- „საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე“,
- „საქართველოს სსრ დამსახურებული გამომგონებელი და რაციონალიზატორი“,
- „საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის დამსახურებული მუშაკი“,
- „საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მუშაკი“,
- „საქართველოს სსრ სახალხო განათლების დამსახურებული მუშაკი“,
- „საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე“,
- „საქართველოს სსრ დამსახურებული არტიტი“,
- „საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვარი“,
- „საქართველოს სსრ დამსახურებული არქიტექტორი“,
- „საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი“,
- „საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტი“,
- „საქართველოს სსრ მომსახურების სფეროს დამსახურებული მუშაკი“,
- „საქართველოს სსრ დამსახურებული ჟურნალისტი“,
- „საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტი“.

4. საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრომ დაინტერესებულ ორგანიზაციებთან ერთად 1989 წლის 1 თებერვლამდე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში შემოიტანოს წინადადებანი ამ დადგენილებასთან საქართველოს სსრ სახელმწიფო ჯილდოების შესახებ დებულების შესაბამისობაში მოსაყვანად, ამასთან დაჯილდოების საფუძვლების დაზუსტებისას გაითვალისწინოს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მხარის გარდაქმნის, ჯილდოებზე წარდგენის პროცესის შემდგომი დემოკრატიზაციის ამოცანები.

5. საქართველოს სსრ სახელმწიფო ჯილდოებით მშრომელთა დასაჯილდოებლად წარდგინებანი შეაქვთ უშუალოდ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.

საკავშირო სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტების, უწყებების სისტემაში შემავალი საწარმოების, გაერთიანებების, დაწესებულებების, ორგანიზაციების მუშაკებისა — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომს პროფკავშირების შესაბამის ორგანოებთან ერთად;

საკავშირო-რესპუბლიკური და რესპუბლიკური სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტების, უწყებების სისტემაში შემავალი საწარმოების, გაერთიანებების, დაწესებულებების, ორგანიზაციების მუშაკებისა — აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომს პროფკავშირების შესაბამის ორგანოებთან ერთად, აგრეთვე საქართველოს სსრ სამინისტროებს, სახელმწიფო კომიტეტებს, უწყებებს პროფკავშირების შესაბამის ორგანოებთან ერთად;

კოლმეურნეობების, სხვა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების, წარმოებისა და მომსახურების სფეროების კოოპერატივების, სამომხმარებლო კოოპერატივების წევრებისა — აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომს, აგრეთვე საქართველოს სსრ სამინისტროებს, სახელმწიფო კომიტეტებს, უწყებებსა და ცეკავშირის გამგეობას პროფკავშირების შესაბამის ორგანოებთან ერთად;

საზოგადოებრივ ორგანიზაციათა საწარმოების, გაერთიანებებისა და დაწესებულებების მუშაკების, შემოქმედებითი კავშირების წევრებისა — საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და შემოქმედებითი კავშირების რესპუბლიკური ორგანოებს პროფკავშირების შესაბამის ორგანოებთან ერთად;

შრომითი კოლექტივების შუამდგომლობანი საწარმოების, გაერთიანებების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მუშაკთა დაჯილდოების შესახებ უნდა შეთანხმდეს პარტიის რაიონულ, საქალაქო კომიტეტებთან და სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო საბჭოების აღმასკომებთან.

6. ახალ მოთხოვნათა შესაბამისად სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ჯილდოებით დასაჯილდოებელთა კანდიდატურების წინასწარი განხილვისა და სათანადო წინადადებების შემუშავებისათვის მიზანშეწონილად ჩაითვალოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დაჯილდოების საკითხთა კომისიის შექმნა.

7. რჩევა მიეცეთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებს განიხილონ ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ჯილდოების მოქმედი სისტემის სრულყოფის საკითხი და განახორციელონ ღონისძიებანი დაჯილდოების პრაქტიკის გასაუმჯობესებლად.

8. საქართველოს სსრ საპატიო წოდებაინიჭებულ პირთათვის შემოღებულ იქნეს შესაბამისი მოწმობა და სამკერდე ნიშანი, ხოლო სიველი — საპატიო წოდების მინიჭების შესახებ — გაუქმდეს.

9. რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა, სამინისტროებმა, სახელმწიფო კომიტეტებმა და უწყებებმა, საზოგადოებრივი

ორგანიზაციების ორგანოებმა, შრომითმა კოლექტივებმა, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა ფართო პროპაგანდა გაუწიონ იმ მოქალაქეთა მიღწევებს, რომლებიც დაჯილდოვდნენ სახელმწიფო ჯილდოებით, აღზარდონ მათი მაგალითით მშრომელები, უწინარეს ყოვლისა, ახალგაზრდობა; ამასთან, დამაჯერებლად უჩვენონ, რომ მაღალ ჯილდოს იმსახურებს მხოლოდ ის, ვინც თავდადებად, სრული უკუგებით, შემოქმედებითად ასრულებს თავის მოვალეობას ხალხისა და სოციალისტური სამშობლოს წინაშე.

10. რესპუბლიკის საბჭოთა და სამართალდამცველმა ორგანოებმა უზრუნველყონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ დადგენილი სახელმწიფო ჯილდოების ჩამორთმევის წესის განუხრელი შესრულება, მიაღწიონ ამ საქმეში მაღალ პრინციპულობას, ამასთან გამორიცხონ უღირს ადამიანთათვის სახელმწიფო ჯილდოების დატოვების შემთხვევები.

11. ეს დადგენილება გამოქვეყნდეს რესპუბლიკურ გაზეთებში „კომუნისტში“, „ზარია ვოსტოკაში“, „სოვეტაკან ვრასტანში“, „სოვეტ გურჯუსტანსა“ და „სოფლის ცხოვრებაში“, აგრეთვე საოლქო, საქალაქო და რაიონულ გაზეთებში, გადაიცეს ტელევიზიითა და რადიოთი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. პილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. ძვარბაძე.

თბილისი, 1988 წლის 23 დეკემბერი.

№ 2031—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის შემადგენლობაში 348 ცვლილებების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. დაინიშნონ საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის სახელმწიფო არბიტრებად:

დომიტრი გივის ძე გიორგაძე,

ხაჯიმურატ დომიტრის ძე ვალიევი,

მანანა ნოდარის ასული ნასარაძე.

2. განთავისუფლდნენ საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის სახელმწიფო არბიტრის თანამდებობიდან:

ოთარ ქოჩორას ძე აბაზოვი,

გრიგოლ ეზეკის ძე სვანიძე — პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებით;

ნატალია ავთანდილის ასული ყურაშვილი — სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 28 დეკემბერი.

№ 2034—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

349 ამხ. ს. ტ. რიგვაპას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შემადგენლობიდან გამოყვანის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

გამოყვანილ იქნეს ამხ. სერგო ტარასის ძე რიგვავა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შემადგენლობიდან მისი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველის მოვალეობისაგან განთავისუფლებასა და პარტიულ სამუშაოზე გადაყვანასთან დაკავშირებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 30 დეკემბერი.

№ 2057—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

350 ამხ. ზ. ვ. მახარაძის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შემადგენლობაში შექვანის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

შეყვანილ იქნეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველი ამხ. ზურაბ პავლეს ძე მახარაძე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შემადგენლობაში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 30 დეკემბერი.

№ 2058—XI

ბანუოფილება მიორა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

351 სიმღერისა და ცეკვის სახალხო ანსამბლ „ლილეს“ საქართველო
 სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით
 დაჯილდოების შესახებ

ქართული მუსიკალური ფოლკლორის შესწავლისა და პოპულარიზაციის საქმეში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის სიმღერისა და ცეკვის სახალხო ანსამბლი „ლილე“ დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ვილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 9 დეკემბერი.

№ 2009—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

352 სიმღერისა და ცეკვის სახალხო ანსამბლ „ლილეს“ სოლისტ-
 ბისტოვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების
 შესახებ

სიმღერისა და ცეკვის სახალხო ანსამბლ „ლილეში“ ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობის, ქართული მუსიკალური ფოლკლორის შესწავლისა და პოპულარიზაციისათვის მიენიჭოთ საპატიო წოდება:

„საქართველოს სსრ სახალხო არტისტი“

ჯოკია სანდროს ძე მეშველიანს — ანსამბლის ხელმძღვანელს.

„საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი“

ისიდორე მიქელის ძე ბენდელიანს — სოლისტს.

მურმან ანტონის ძე ბენდელიანს — ქორეოგრაფს.

გელა ვლადიმერის ძე გუგავას — სოლისტს.

ჯემალ ვეტიხის ძე ონიანს — სოლისტს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ვილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 9 დეკემბერი.

№ 2010—XI



საპარტიველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

353 ანხ. რ. ბ. მოღვაძის მედლით „საზოგადოებრივი ფსიქიკის და-
საცავად წარჩინებული სამსახურისათვის“ დაჯილდოების უა-
სახეზ

დამნაშავეს დაკავებისას გამოჩენილი ვაჟკაცობისა და მამაცობისათვის
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით საქართველოს სსრ
შინაგან საქმეთა სამინისტროს საბჭოთა და პარტიული ორგანოების შენობა-
თა დაცვის მილიციის განყოფილების პირველი ქვეგანყოფილების მილიციელი
ამხ. როსტომ გიგას ძე მოღვაძე დაჯილდოვდეს მედლით „საზოგადოებ-
რივი წესრიგის დასაცავად წარჩინებული სამსახურისათვის“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

18921

თბილისი, 1988 წლის 19 დეკემბერი.

№ 2017—XI.

საპარტიველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

354 ვიკალურ ანსამბლ „ცისფერი ტრიოს“ არტისტებისათვის „სა-
პარტიველოს სსრ სახალხო არტისტის“ საპატიო წოდების მინი-
ჭების უსახეზ

ქართული ფოლკლორული და საესტრადო მუსიკის აქტიური პროპაგან-
დის, წარმატებული საკონცერტო მოღვაწეობისათვის „საქართველოს სსრ სა-
ხალხო არტისტის“ საპატიო წოდება მიენიჭოთ ვიკალურ ანსამბლ „ცისფერი
ტრიოს“ არტისტებს:

დავით ნოდარის ძე აბესაძეს,
მალხაზ მიხეილის ძე თავართქილაძეს,
თამაზ აკაკის ძე სეფერთელაძეს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 23 დეკემბერი.

№ 2029—XI

2

საქ. სსრ კ. მარქსის
სსრ, სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

355 ამხ. ნ. ზ. ანანიაშვილისათვის „საქართველოს სსრ სახალხო არტისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ქართული საბჭოთა საბალეტო ხელოვნების განვითარებაში წვლილისათვის ამხ. ნინო გედეონის ასულ ანანიაშვილს მიენიჭოს „საქართველოს სსრ სახალხო არტისტის“ საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 23 დეკემბერი.

№ 2030—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

356 ამხ. თ. ზ. გოცაძისათვის „საქართველოს სსრ სახალხო მხატვრის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ქართული საბჭოთა სახვითი ხელოვნების განვითარებაში წვლილისათვის ამხ. თეიმურაზ გიორგის ძე გოცაძეს მიენიჭოს „საქართველოს სსრ სახალხო მხატვრის“ საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 23 დეკემბერი.

№ 2021—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება


357 ამხ. ზ. კ. გუნია-კუზნეცოვისათვის „საქართველოს სსრ სახალხო მხატვრის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ქართული საბჭოთა სახვითი ხელოვნების განვითარებაში წვლილისათვის ამხ. გიორგი კონსტანტინეს ძე გუნია-კუზნეცოვს მიენიჭოს „საქართველოს სსრ სახალხო მხატვრის“ საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 23 დეკემბერი.

№ 2022—XI



საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულზე

358 ჯანმრთელობის დაცვის მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ

ჯანმრთელობის დაცვის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის მიენიჭოთ საპატიო წოდება:

„საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმი“

ვლადიმერ აკაკის ძე გორგოშიძეს — სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს საქართველოს შავი ჭირის საწინააღმდეგო სადგურის ექიმ-ეპიდემიოლოგს.

რომან მიხეილის ძე ლაბაძეს — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს რესპუბლიკური ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს ექიმ-ორდინატორს.

ლუდმილა აქვსენტის ასულ მეგრელიძეს — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს თბილისის ბავშვთა № 2 სტომატოლოგიური პოლიკლინიკის განყოფილების გამგეს.

ვლადიმერ ავეტისის ძე მკრტიჩიანს — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს თბილისის № 8 საქალაქო საავადმყოფოს ექიმ-ფიზიოთერაპევტს.

ნუნუ ამბროსის ასულ პერტიას — აჭარის ასსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს საავადმყოფოებისა და პოლიკლინიკების გაერთიანების მთავარ ექიმს.

ვარდენ ელიზბარის ძე ფირცხალავას — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ქუთაისის № 1 საქალაქო საავადმყოფოს მთავარი ექიმის მოადგილეს.

ნიკოლოზ სერგოს ძე ცერცვაძეს — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს შავი ჭირის საწინააღმდეგო სადგურის ექიმს.

„საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტი“

ნოდარ ილიას ძე ლეკვიშვილს — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მთავარი საადრიაქო სამმართველოს განყოფილების უფროსს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი პ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 23 დეკემბერი.

№ 2026—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

359 „საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ხანგრძლივი ნაყოფიერი საინჟინრო საქმიანობისათვის მიენიჭოთ საპატიო წოდება:

„საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი“

დანიელ სიმონის ძე მაღალაშვილს — ფოთის ს. ორჯონიკიძის სახელობის გემთსარემონტო-გემთსაშენი ქარხნის დირექტორს.

ელდარ გიორგის ძე მდებრიშვილს — თბილისის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ანალიზხელსაწყოს“ გენერალურ დირექტორის მოადგილეს — მთავარ ინჟინერს.

ვენერა გიორგის ასულ შაყულაშვილს — თბილისის ჩარხმშენებლობის საბროექტო-ტექნოლოგიური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ლაბორატორიის გამგეს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. პილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 23 დეკემბერი.

№ 2024—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

360 საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის განვითარების საქმეში საგამომგონებლო და რაციონალიზატორული მუშაობისათვის მიენიჭოთ საპატიო წოდება:

„საქართველოს სსრ დამსახურებული გამომგონებელი“

თაიმურაზ ვლადიმერის ძე სანაკოევს — ცხინვალის ქარხანა „ელექტროვიბრომანქანის“ მთავარ კონსტრუქტორს.

„საქართველოს სსრ დამსახურებული რაციონალიზატორი“

გურამ ვარლამის ძე კვერნაძეს — ბოლნისის ნავთობბაზის დირექტორს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 23 დეკემბერი.

№ 2025—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

361 „საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვრის“ საპატიო წოდება მიენიჭოს დავის მინიჭების შესახებ

სახვითი ხელოვნების დარგში ნაყოფიერი მუშაობისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვრის“ საპატიო წოდება მიენიჭოს:

ნიკოლოზ გრიგოლის ძე კაბისოვს — ქ. ცხინვალის სამხატვრო-საწარმოო სახელოსნოების დირექტორს.

მურად გაბრიელის ძე შავლოხოვს — ქ. ცხინვალის ბავშვთა სამხატვრო სკოლის დირექტორს.

ვიტალი გაბრიელის ძე ცხოვრებოვს — ქ. ცხინვალის სამხატვრო-საწარმოო სახელოსნოების მხატვარს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 23 დეკემბერი.

№ 2027—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

362 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა მუსიკალური ხელოვნების დარგში დამსახურებისათვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოვდნენ:

ანატოლი ალექსის ძე ბასაკაოვი — კომპოზიტორი.

ოთარ შინგილის ძე გორდელი — საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის მდივანი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 23 დეკემბერი.

№ 2028—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

363 ამხ. თ. ი. ბუაჩისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

წარმატებული საკონცერტო მოღვაწეობისა და ნაყოფიერი პედაგოგიური მუშაობისათვის თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიასთან არსებული ექსპერიმენტული სამუსიკო სკოლის დირექტორს ამხ. თამაზ ილიას ძე ბუაჩეს მიენიჭოს „საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის“ საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 23 დეკემბერი.

№ 2023—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

364 ამხ. ვ. ა. გაგელიასათვის „საქართველოს სსრ სახალხო არტისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ქართული ეროვნული ქორეოგრაფიის განვითარებაში დამსახურებისათვის საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიური დამსახურებული ანსამბლის მსახიობს ვლადიმერ ანდრეას ძე გაგელიას მიენიჭოს „საქართველოს სსრ სახალხო არტისტის“ საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 29 დეკემბერი.

№ 2041—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

365 „საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

კულტურის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის მიენიჭოთ „საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდება ქუთაისის აკად. ნ. ბერძენიშვილის სახელობის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის თანამშრომლებს:

ცილა ნესტორის ასულ ჯვიადაძეს — განყოფილების გამგეს.
 ლონდა ბორისის ასულ ჭიჭიას — განყოფილების გამგეს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 29 დეკემბერი.

№ 2044—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

366 ამხ. ა. ლ. ბაბუნაძისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ვაჭრობის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს ვაჭრობის ორგანიზაციის სამმართველოს უფროსს ამხ. ანზორ ლევანის ძე ბაბუნაძიას მიენიჭოს „საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტის“ საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 29 დეკემბერი.

№ 2038—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

367 ამხ. ლ. ი. კანდელაკისათვის „საქართველოს სსრ ვაჭრობის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ვაჭრობის სისტემაში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს საერთო-საკავშირო გაერთიანება „საქმრეწვად-

ნერგვის“ საქართველოს რესპუბლიკური ფილიალის დირექტორის ამხ. ლეილა ივანეს ასულ კანდელაკს მიენიჭოს „საქართველოს სსრ ვაჭრობის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 29 დეკემბერი.

№ 2039—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

368 ამხ. ზ. ა. მელიქიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საკაბიულო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ისტორიის მეცნიერების განვითარებაში, სამეცნიერო კადრების მომზადებაში დამსახურებისათვის საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ი. ა. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი გიორგი ალექსანდრეს ძე მელიქიშვილი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 29 დეკემბერი.

№ 2037—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

369 ამხ. ზ. ბ. ტორაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საკაბიულო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართული პროფესიული მუსიკის კვლევის დარგში დამსახურების, აქტიური პედაგოგიური მოღვაწეობისათვის თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მუსიკის ისტორიის კათედრის პედაგოგი გულბათ გრიგოლის ძე ტორაძე დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 29 დეკემბერი.

№ 2040—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

370 ამხ. ნ. დ. ჰანტუჩიშვილისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

მაღალი საშემსრულებლო ოსტატობის, წარმატებული საკონცერტო მოღვაწეობისათვის საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის სოლისტ ნატალია დიმიტრის ასულ ჰანტუჩიშვილს მიენიჭოს „საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი“ საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 29 დეკემბერი.

№ 2042—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

371 ამხ. ე. დ. ჯაველიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ბეჭდვითი სიტყვის ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქტორი ამხ. ელიზბარ დიმიტრის ძე ჯაველიძე დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 29 დეკემბერი.

№ 2043—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

372 ამხ. ე. ზ. გელაშვილისათვის „საქართველოს სსრ სახალხო არტისტი“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ქართული საბჭოთა ხელოვნების განვითარებაში დამსახურებისათვის ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებულ ანსამბლ

„რუსთავის“ სოლისტ-ვოკალისტს ედიშერ ზაქარიას ძე გელაშვილს მიენიჭოს „საქართველოს სსრ სახალხო არტისტის“ საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 30 დეკემბერი.

№ 2048—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

373 რესპუბლიკის შურნალისტებისათვის საქართველოს სსრ საპა-
 ტიო წოდებათა მინიჭების შესახებ

მასობრივი ინფორმაციის ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის მიენიჭოთ საპატიო წოდება:

„საქართველოს სსრ დამსახურებული შურნალისტი“

ბაკურ პეტრეს ძე ბახტურიძეს — გაზეთ „კომუნისტის“ კორესპონდენტს. ავთანდილ მეჭითის ძე დიასამიძეს — გაზეთ „საბჭოთა აჭარის“ რედაქტორის მოადგილეს.

გამიდ ალი ოღლი ველიევს — გაზეთ „სოვეტ გურჯუსტანის“ პასუხისმგებელ მდივანს.

გიორგი (გივი) მიხეილის ძე თედევს — გაზეთ „კომუნისტის“ საკუთარ კორესპონდენტს სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში.

მორის ბენიამინის ძე შირცხულავას — საქტელერადოს რადიომაუწყებლობის მთავარი რედაქციის მთავარ რედაქტორს.

გიორგი მიხეილის ძე ნარასკუას — გაზეთ „აფსნი ყაფშის“ რედაქციის განყოფილების გამგეს.

„საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე“

ამირან ალექსანდრეს ძე მურვანიძეს — საქტელერადოს ტელეობერატორს.

„საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი“

თინათინ ივანეს ასულ მაჭავარიანს — საქინფორმის რედაქტორს.

გალუსტ ხაჩატურის ძე სლოიანს — ახალქალაქის რაიონული რადიომაუწყებლობის კორესპონდენტ-ორგანიზატორს.

ნანული სერგოს ასულ **ობოლაძეს** — საქართველოს კბ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის საწარმოო განყოფილების უფროსს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 30 დეკემბერი.

№ 2056—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

374 საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ

ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის შტაბის ორკესტრში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის მიენიჭოთ საპატიო წოდება:

„საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი“

ვლადიმერ პავლეს ძე **მირონოვს** — უფროს მუსიკოს-კონცერტმანსტერს.

„საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი“

შალვა ვლადიმერის ძე **სიხარულიძეს** — უფროს მუსიკოს-კონცერტმანსტერს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 30 დეკემბერი.

№ 2054—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

375 ანხ. ს. ა. დარჩინიანისათვის „საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

კინოსტუდია „ქართულ ფილმში“ ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის კინოსტუდიის მექანიკური სააპარატოს ხარატს ანხ. სარქის აბელის ძე **დარჩი-**

ნინოს მიენიჭოს „საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 30 დეკემბერი.

№ 2047—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

376 ამხ. ა. მ. დოღენჯაშვილისათვის „საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ახალგაზრდობის ესთეტიკურად აღზრდისათვის გაწეული ნაყოფიერი მუშაობისათვის აზერბაიჯანის სსრ კახის რაიონის სოფელ ალიბეგლოს კულტურის სახლთან არსებული სახალხო თეატრის რეჟისორს ამხ. ანზორ მიხეილის ძე დოღენჯაშვილს მიენიჭოს „საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის“ საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 30 დეკემბერი.

№ 2052—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

377 ამხ. გ. ნ. მელაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის ამხ. გივი ნიკოლოზის ძე მელაძე დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 30 დეკემბერი.

№ 2046—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

378 ამხ. ლ. ბ. მუხამისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ხანგრძლივი ნაყოფიერი საინჟინრო საქმიანობისათვის საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედევობის ინსტიტუტის გამოყენებითი დრეკადობის თეორიის განყოფილების გამგეს ამხ. ლია გიორგის ასულ მუხაძეს მიენიჭოს „საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის“ საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 30 დეკემბერი.

№ 2053—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

